საქართველო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა

განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის

ბრძანება № 01-11/15

ქ. ბათუმი 18 01 **201**9 წ.

"უმაღლესი განათლების ხელშეწყობის" ქვეპროგრამის კომპონენტის სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა, საგრანტო კონკურსის ორგანიზების მიზნით ქვეპროგრამის დებულების, საგრანტო კომისიის შემადგენლობის, საგრანტო განაცხადის სამინისტროში წარდგენის ვადების, საგრანტო განაცხადის სააპლიკაციო ფორმისა და სარეკომენდაციო წერილის ფორმის დამტკიცების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2018 წლის 19 მარტის 01-11/80 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო ახორციელებს "აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2019 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით დამტკიცებული "უმაღლესი განათლების ხელშეწყობის" ქვეპროგრამას (050404), რომლის ფარგლებშიც გათვალისწინებულია კონფერენციის ორგანიზება, სეზონური სკოლის მოწყობა და სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, სამინისტროს განათლების დეპარტამენტის უფროსის ნაზიბროლა ბერიძე გაბაიძის 2019 წლის 16 იანვრის N34915 მოხსენებითი ბარათისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ლ" ქვეპუნქტის თანახმად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ცვლილება შევიდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2018 წლის 19 მარტის 01-11/80 ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებულ დანართებში და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით "უმაღლესი განათლების ხელშეწყობის" ქვეპროგრამის კომპონენტის ,,სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა" საგრანტო კონკურსის ფარგლებში:

ა) ქვეპროგრამის დებულება (დანართი N1);

ბ) საგრანტო განაცხადის შეფასების ფორმა (დანართი N2);

გ) საგრანტო კომისიის შემადგენლობა (დანართი N3);

2. ცვლილება შევიდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2018 წლის 19 მარტის 01-11/80 ბრძანების მეორე პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,2. საგრანტო განაცხადების მიღების ვადად განისაზღვროს 2019 წლის 21 იანვრიდან 05 აპრილის ჩათვლით პერიოდი".

3. ბრძანების შესაბამისი პირებისათვის გაცნობა უზრუნველყოს სამინისტროს საქმისწარმოებისა და ადმინისტრირების განყოფილებამ.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობაში (მის. ქ. ბათუმი, კ. გამსახურდიას ქ. N9) კანონმდებლობით დადგენილი წესით, ერთი თვის ვადაში.

ინგა შამილიშვილი
მინისტრი

დანართი №1

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს „უმაღლესი განათლების ხელშეწყობის“ ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული ,,სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა“ კომპონენტის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობის დაფინანსების მიზანია სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა, საერთაშორისო კონტაქტების დამყარება და გამოცდილების შეძენა. აღნიშნული ხელს შეუწყობს ადგილობრივი სამეცნიერო პოტენციალის განვითარებასა და მის ინტეგრაციას საერთაშორისო სამეცნიერო სფეროში.
2. აღნიშნული წესი აწესრიგებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) სამეცნიერო ღონისძიებებში (კონფერენცია, კონგრესი, ფორუმი, სიმპოზიუმი, სემინარი) მონაწილეობისათვის ერთჯერადი დახმარების მისაღებად საგრანტო კონკურსის გამოცხადების, საგრანტო განაცხადების შეფასების, ერთჯერადი დახმარების (შემდგომში - დახმარება) გაცემისა და შესრულების ანგარიშგების წესს.

მუხლი 2. დახმარების გამცემი უფლებამოსილი ორგანო

1. საგრანტო კონკურსის სრულ ადმინისტრირებას ახორციელებს სამინისტრო.
2. საგრანტო თანხას გასცემს სამინისტრო.
3. სამინისტრო შეიმუშავებს და მინისტრის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით ამტკიცებს:
   ა) საგრანტო განაცხადის სამინისტროში წარდგენის ვადებს;
   ბ) საგრანტო განაცხადისა და შესრულების ანგარიშგების ფორმებს;
   გ) საგრანტო კომისიის შემადგენლობას;
   დ) შეფასების კრიტერიუმებს;
   ე) საგრანტო კომისიის მიერ დასაფინანსებლად შერჩეულ განმცხადებელთა სიას.
4. ახორციელებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების მონიტორინგს.

მუხლი 3. გრანტის მიმღები

1. საგრანტო კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ:
   ა) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედ აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში მუდმივად, ან ხელშეკრულებით მომუშავე მეცნიერებს – აკადემიური ხარისხის (მაგისტრი, დოქტორი), ან სამეცნიერო წოდების (მეცნიერებათა კანდიდატი, მეცნიერებათა დოქტორი) მქონე მოქალაქეებს.

ბ) აგრეთვე, მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს, რომლებიც განაცხადის წარდგენის პერიოდში სწავლობენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედ აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

2. საგრანტო კონკურსში მონაწილეობა შეიძლება მხოლოდ ინდივიდუალურად. იმ შემთხვევაში, თუ სამეცნიერო ნაშრომს ჰყავს რამდენიმე თანაავტორი, აღნიშნული ნაშრომის პრეზენტაციისათვის კონკურსში მონაწილე განმცხადებლის ვინაობას წყვეტს ავტორთა ჯგუფი. ერთსა და იმავე ღონისძიებაზე ერთი და იმავე მოხსენებით გამგზავრების დასაფინანსებლად საგრანტო განაცხადის შემოტანა შეუძლია მხოლოდ ერთ განმცხადებელს.
3. პროგრამაში მონაწილეობა ეკრძალება:
   ა) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს თანამშრომლებს;
   4. უპირატესობა მიენიჭება იმ განმცხადებელს, რომელსაც ზემოაღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში 2017-2018 წლებში არ მიუღია დაფინანსება.

მუხლი 4. საგრანტო კონკურსის პროგრამა

1. გრანტი გაიცემა შემდეგი სახის საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად:
   ა) კონფერენცია;
   ბ) კონგრესი;
   გ) ფორუმი;
   დ) სიმპოზიუმი;
   ე) სამუშაო შეხვედრა (სემინარი).
2. საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების თემატიკა უნდა იყოს კონკურსანტის სამეცნიერო მოღვაწეობის შესაბამისი.
3. დახმარების გაცემისას უპირატესობა მიენიჭებათ იმ განმცხადებლებს, რომლებიც მონაწილეობენ ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადაში, შვეიცარიასა და ნორვეგიაში გამართულ საერთაშორისო ღონისძიებებში.
4. გრანტის მისაღებად აუცილებელი პირობაა საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებაში ზეპირი ან სასტენდო მოხსენებით გამოსვლა.

მუხლი 5. გრანტის ოდენობა და გაცემის წესი

1. გრანტის ოდენობა ერთ განმცხადებელზე არ უნდა აღემატებოდეს 3000 ლარს.
2. განმცხადებელს შეიძლება აუნაზღაურდეს შემდეგი ტიპის ხარჯები სამინისტროს მიერ განსაზღვრული თანხის ამოწურვამდე:
   ა) მგზავრობა;
   ბ) ვიზა;
   გ) საცხოვრებელი ფართი (საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის N220 „დამქირავებლისათვის გადახდილი სამივლინებო ხარჯების ნორმების განსაზღვრის შესახებ“ ბრძანების ანალოგიის თანახმად);

დ) სადღეღამისო (საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის N220 „დამქირავებლისათვის გადახდილი სამივლინებო ხარჯების ნორმების განსაზღვრის შესახებ“ ბრძანების ანალოგიის თანახმად);

ე) სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობის ხარჯი.

3. გრანტი გაიცემა საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებაზე ფაქტობრივად ყოფნის დღეების მიხედვით (სამეცნიერო ღონისძიების ჩატარების თარიღი მითითებული უნდა იყოს ოფიციალურ წყაროებში/განცხადებაში), გამგზავრებისა და დაბრუნების დღეების ჩათვლით, მაგრამ არაუმეტეს 7 ღამისა და 8 დღისა, რომელშიც შედის გამგზავრებისა და დაბრუნების დღეები.
4. იმ შემთხვევაში, თუ კონკურსანტს სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობისათვის მიღებული აქვს ნაწილობრივი დაფინანსება სხვა ორგანიზაციიდან, სამინისტრო განიხილავს დანარჩენი ხარჯის დაფინანსების (ნაწილობრივი დაფინანსება) საკითხს.
5. თანადაფინანსების სახით სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობაზე შეიძლება მიმართულ იქნას დონორის/სპონსორის მიერ გამოყოფილი დაფინანსება.
6. განმცხადებლის მიერ გაწეული საკუთარი ხარჯები თანადაფინანსებაში არ ჩაითვლება.
7. სამეცნიერო
8. ღონისძიებებში მონაწილეობის კომპონენტში გამარჯვებული განმცხადებლისთვის ანაზღაურების გაცემის წესი და პირობები განისაზღვრება საგრანტო ხელშეკრულებით.

მუხლი 6. გრანტის მისაღებად საჭირო დოკუმენტაციის ნუსხა

1. საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მისაღებად განმცხადებელმა განცხადთან ერთად სამინისტროში უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) შევსებული სააპლიკაციო ფორმა;

ბ) ავტობიოგრაფია (CV);

გ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

დ) ცნობა რეგისტრაციის ადგილის შესახებ;

ე) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

ე.ა) ბაკალავრის დიპლომის ასლი (მაგისტრანტის შემთხვევაში);

ე.ბ) მაგისტრის დიპლომის ასლი (დოქტორანტის შემთხვევაში);

ვ) ცნობა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედ აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სამაგისტრო/სადოქტორო პროგრამაზე სწავლის შესახებ/დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;

ზ) სარეკომენდაციო წერილი (ორი) - რეკომენდატორების საკონტაქტო ინფორმაციის მითითებით (თაბახის ფურცელი A4 ფორმატი, შრიფტი 12, Sylfaen):

თ.ა.) ერთი - კონკურტსანტის სასწავლო ან სამუშაო ადგილიდან;

თ.ბ.) მეორე - იმ პირისაგან, რომელიც კარგად იცნობს კონკურსანტის პროფესიულ უნარ-ჩვევებს, სამეცნიერო მოღვაწეობას ან/და მასთან ერთად ჩართულია სამეცნიერო კვლევაში.

თ) ცნობა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედ აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებაში მუდმივად, ან ხელშეკრულებით მუშაობის შესახებ.

ი) სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, მაგ. პერსონალური მოწვევა საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიების ორგანიზატორისაგან და კონკურსანტის მიერ ორგანიზატორისათვის შეთავაზებული მოხსენებ(ებ)ის ან/და მოხსენებათა თეზისების მიღების დასტური.

კ) სამეცნიერო ღონისძიებაზე წარსადგენი მოხსენებ(ებ)ის აბსტრაქტი/ანოტაცია/თეზისი.

2. უცხო სახელმწიფოს მიერ გაცემული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის შემთხვევაში სამინისტროში წარმოდგენილი უნდა იქნას აპოსტილით დამოწმებული/ლეგალიზებული დოკუმენტი.
3. ვადის დარღვევის, ან/და არასრული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, განაცხადი არ განიხილება.
4. საგრანტო განაცხადის პირველად შეფასებას უზრუნველყოფს სამინისტროს სტრუქტურული ერთეული-განათლების დეპარტამენტი.
5. სამინისტრო უფლებამოსილია საგრანტო კონკურსის ნებისმიერ ეტაპზე კონკურსიდან მოხსნას განმცხადებელი, რომლის მიზნები არ შეესაბამება საგრანტო კონკურსის მოთხოვნებს, ან შეიცავს ყალბ ინფორმაციას.
6. სამინისტრო უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია.

მუხლი 7. საგრანტო კომისია

1. სამინისტრო ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით ამტკიცებს საგრანტო საკონკურსო კომისიის (შემდგომში - კომისია) შემადგენლობას.
2. საგრანტო კომისიის სხდომებს იწვევს კომისიის თავმჯდომარე.
3. საგრანტო კომისია:

ა) განიხილავს კონკურსანტების განაცხადებს (საკონკურსო დოკუმენტაციას) და ახდენს მათ შეფასებას;

ბ) განსაზღვრავს დაფინანების ოპტიმალურ ოდენობას;

გ) დასამტკიცებლად წარუდგენს მინისტრს ინფორმაციას საგრანტო კონკურსის შედეგების შესახებ.

5. დაუშვებელია საგრანტო კომისიის წევრი იყოს:

ა) პირი, რომელიც არის ამავე საგრანტო კონკურსის მონაწილე;

ბ) პირი, რომელიც არის კონკურსანტის ნათესავი.

6. ნათესავად ჩაითვლება:

ა) მეუღლეები;

ბ) აღმავალი ან დამავალი შტოს ნათესავები;

გ) დები (ძმები);

დ) დისწულები (ძმისწულები);

ე) დის ქმარი (ძმის ცოლი);

ვ) მშობლების დები (ძმები);

ზ) პირები, რომლებიც ხანგრძლივი მეურვეობის შედეგად ერთმანეთთან დაკავშირებულნი არიან როგორც მშობლები და შვილები.

თ) ნათესაობის განსაზღვრისას გერი დები (ძმები) გათანაბრებულია ღვიძლ დებთან (ძმებთან), ხოლო შვილად აყვანილნი – ღვიძლ შვილებთან; სამეურვეო ურთიერთობები გათანაბრებულია საოჯახო ერთობასთან (რომლის დროსაც პირები ერთმანეთთან

დაკავშირებულნი არიან როგორც მშობლები და შვილები), რაც, თავის მხრივ, უთანაბრდება ნათესაურ ურთიერთობას.

7. საგრანტო კომისიის წევრი ვალდებულია სამინისტროს ოფიციალურად აცნობოს ამ მუხლში აღნიშნული გარემოებისა და თვითაცილების შესახებ.

8.იმ შემთხვევაში, თუ ინფორმაცია საგრანტო კომისიის წევრის ინტერესთა კონფლიქტის შესახებ სამინისტროსთვის ცნობილი გახდება დასაფინანსებლად შერჩეული კონკურსანტის მინისტრის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის დამტკიცებამდე, სამინისტრო უფლებამოსილია იმსჯელოს საგრანტო კომისიის წევრის მიერ გაკეთებული შეფასების გაუქმებასთან დაკავშირებით.

9. საგრანტო კომისია უფლებამოსილია, თუკი სხდომას ესწრება სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

10. სამინისტრო უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, საგრანტო კომისიაში მონაწილეობის მიღების მიზნით მოიწვიოს ექსპერტები სათათბირო ხმის უფლებით.

11. საგრანტო კომისიის წევრთა ინდივიდუალური შეფასებები დაცულია გამხელისაგან.

12. საგრანტო კომისიის წევრი ვალდებულია შეაფასოს თითოეული საკონკურსო განაცხადი მინისტრის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით დამტკიცებული შეფასების ფორმის საფუძველზე.

13. იმ შემთხვევაში, თუ საგრანტო კომისიის რომელიმე წევრი შეაფასებს საკონკურსო განაცხადს მინისტრის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით დამტკიცებული შეფასების ფორმის დარღვევით, მისი ხმა არ იქნება გათვალისწინებული ქულათა საერთო ჯამის გამოთვლის დროს.

მუხლი 8. საგრანტო ხელშეკრულების გაფორმება

გამარჯვებულ კონკურსანტთან სამინისტრო აფორმებს ხელშეკრულებას, რომლითაც განისაზღვრება სამინისტროსა და გამარჯვებულ კონკურსანტს შორის ურთიერთვალდებულებათა დეტალები.

მუხლი 9. საგრანტო კონკურსის შედეგების გასაჩივრება, საპრეტენზიო კომისია

1. კონკურსანტს უფლება აქვს, საგრანტო კონკურსის შედეგები გაასაჩივროს საპრეტენზიო კომისიაში.
2. საგრანტო კონკურსის პროცედურებსა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების განხილვის მიზნით, მინისტრის ბრძანებით, შესაძლებელია შეიქმნას საპრეტენზიო კომისია.
3. საპრეტენზიო კომისიის წევრთა რაოდენობასა და შემადგენლობას განსაზღვრავს მინისტრი.
4. საპრეტენზიო კომისიის შემადგენლობაში შედიან საპრეტენზიო კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე და წევრები (მათ შორის მოწვეული პირები). კომისიის წევრი, რომელიც მონაწილეობდა საგრანტო კონკურსის რომელიმე ეტაპის ჩატარებაში, არ შეიძლება იყოს საპრეტენზიო კომისიის შემადგენლობაში.

5. საპრეტენზიო კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში, მის მოვალეობას ასრულებს თავმჯდომარის მოადგილე.
6. საპრეტენზიო კომიისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი.
7. საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტად ითვლება სხდომის თავმჯდომარის ხმა.
8. საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ საპრეტენზიო საგრანტო კომისიის სხდომის თავმჯდომარე და კომისიის დამსწრე წევრები.
9. საპრეტენზიო კომისიის წევრს უფლება აქვს, თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შესახებაც ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.
10. პირს საპრეტენზიო კომისიისადმი მიმართვის უფლება აქვს მხოლოდ წერილობითი ფორმით, საგრანტო კონკურსის შედეგების (მის მიმართ გამოტანილი საბოლოო გადაწყვეტილება) გამოცხადებიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა. საპრეტენზიო კომისიის სახელზე შეტანილი განცხადება განიხილება არაუმეტეს 3 სამუშაო დღეში. მიღებული გადაწყვეტილება აისახება ოქმში და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად წარედგინება საგრანტო კომისიას.
11. საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს საგრანტო კომისია საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილების გათვალისწინებით. საგრანტო კომისიას უფლება აქვს, საჭიროების შემთხვევაში, მოიწვიოს გაფართოებული სხდომა საპრეტენზიო კომისიის წევრთა მონაწილეობით.

მუხლი 10. ფინანსური კონტროლი

1. სამინისტრო ახორციელებს სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობის ფინანსურ კონტროლს მასთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში.
2. დაფინანსებულმა პირმა ქვეყანაში დაბრუნებიდან 30 დღის ვადაში სამინისტროს უნდა წარუდგინოს ხარჯების/ხარჯვის დამადასტურებელი ყველა დოკუმენტი, გარდა ამ წესის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ხარჯებისა.
3. თუ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად განმცხადებლის მიერ გაწეული ხარჯები აჭარბებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ხარჯებს, სამინისტრო არ ანაზღაურებს დარჩენილ სხვაობას.
4. თუ გაწეული ხარჯები ნაკლებია იმავე ხელშეკრულებით განსაზღვრულ თანხაზე, განმცხადებელი ვალდებულია უკან დააბრუნოს დაფიქსირებული სხვაობა.
5. სამინისტრო უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეაჩეროს, ან შეწყვიტოს საგრანტო კონკურსში გამარჯვებულის დაფინანსება ამ წესით გათვალისწინებული მიზნების შეუსრულებლობის, ყალბი მონაცემების აღმოჩენის, აგრეთვე, კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
6. თუ განმცხადებლის დაბრუნებიდან 30 დღის ვადაში სამინისტროში არ იქნა წარმოდგენილი გაწეული ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტი, სამინისტრო უფლებამოსილია გამოითხოვოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა.

7. განმცხადებელი ვალდებულია წარმოადგინოს პროგრამული ანგარიში სპეციალური ფორმის შესაბამისად.

მუხლი 11. განმცხადებლის ვალდებულებანი

1. **განმცხადებელი ვალდებულია:**

ა) სამინისტროს მიერ განსაზღვრულ ვადებში წარმოადგინოს ამ წესით გათვალისწინებული დოკუმენტაცია;

ბ) ქვეყანაში დაბრუნებიდან 30 დღის ვადაში სამინისტროში წარმოადგინოს გაწეული ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) წარმოადგინოს კონფერენციის ვიზუალური მასალა;

დ) ნებისმიერ საჯარო გამოსვლაში/წერილობით დოკუმენტში მიუთითოს დაფინანსების წყარო.

დანართი N2

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს „უმაღლესი განათლების ხელშეწყობის“ ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობისათვის საპროექტო განაცხადის შეფასების ფორმა

№	კრიტერიუმი	ქულათა მაქსიმალური რაოდენობა	მიღებული ქულა	შენიშვნა
1	აპლიკანტის განათლება	0-15		
2	პროფესიული საქმიანობა	0-15		
3	სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა, აკადემიური და პროფესიული მიღწევები	0-20		
4	სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობის მნიშვნელობა აპლიკანტის პროფესიული განვითარებისთვის	0 -20		
5	რეკომენდატორის შეფასება	0-10		
6	მონაწილეობა ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადაში, შვეიცარიაში, ნორვეგიასა და სხვა ქვეყნებში გამართულ საერთაშორისო ღონისძიებებში	0-10		
	სულ	90		

კომისიის წევრის ხელმოწერა:

თარიღი:_____

განმარტებები:

1. აპლიკანტის განათლება - 0 – 15 ქულა
   1.1. დოქტორი - 15 ქულა
   1.2. დოქტორანტი - 13 ქულა
   1.3. მაგისტრი - 10 ქულა
   1.4. მაგისტრანტი - 7 ქულა

2. პროფესიული საქმიანობა - 0 - 15 ქულა

   2.1. სრული პროფესორი/მთავარი მეცნიერი - 15 ქულა

   2.2. ასისტენტ პროფესორი/ ასოცირებული პროფესორი/ უფროსი მეცნიერი- 10 ქულა

   2.3. ასისტენტი/მეცნიერ თანამშრომელი - 7 ქულა

3. სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა, აკადემიური და პროფესიული მიღწევები - 0 - 20 ქულა

   3.1. კონფერენციებში მონაწილეობა (მომხსენებლი) - 0 - 10 ქულა

   3.2. პუბლიკაცია/წიგნი - 0 - 10 ქულა

      3.2.1. საერთაშორისო პუბლიკაცია - 4 ქულა

      3.2.2. წიგნი/წიგნის თავი - 6 ქულა

4. სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობის მნიშვნელობა აპლიკანტის პროფესიული განვითარებისთვის - 0 - 20

   4.1. არგუმენტირებული - 0 - 10 ქულა

   4.2. როგორ გამოიყენებს აპლიკანტი მიღებულ გამოცდილებას, როგორც პროფესიულ საქმიანობაში, ასევე ქვეყნის/რეგიონის სამეცნიერო პოტენციალის განვითარებაში - 0 - 10 ქულა

5. რეკომენტადორის შეფასება - 0 - 10 ქულა

   5.1. სარეკომენდაციო წერილი **N1** - 5 ქულა

   5.2. სარეკომენდაციო წერილი **N2** - 5 ქულა

6. მონაწილეობა ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადაში, შვეიცარიასა და ნორვეგიაში და სხვა ქვეყნებში გამართულ საერთაშორისო ღონისძიებებში - 0 - 10 ქულა

   6.1. ევროკავშირის წევრი ქვეყნები, ამერიკის შეერთებული შტატები, კანადა, შვეიცარია და ნორვეგია - 10 ქულა

   6.2. სხვა ქვეყნები - 3 ქულა

დანართი N3

"უმაღლესი განათლების ხელშეწყობის" ქვეპროგრამის სეზონური სკოლის, კონფერენციისა და სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობის კომპონენტის საკონკურსო კომისიის წევრთა სია

N	სახელი	გვარი	თანამდებობა	პოზიცია
1	ინგა	შამილიშვილი	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი	კომისიის თავმჯდომარე
2	ნაზიბროლა	ბერიძე გაბაიძე	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს განათლების დეპარტამენტის უფროსი	კომისიის თავმჯდომარის მოადგილე
3	ვლადიმერ	მგალობლიშვილი	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე	კომისიის წევრი
4	ნინო	ჩინჩალაძე	საერთაშორისო განათლების ცენტრი, აღმასრულებელი დირექტორი; უმაღლესი განათლების ავტორიზაციის საბჭოს წევრი	კომისიის წევრი
5	ნინო	ინაიშვილი	საერთაშორისო განათლების ცენტრის ბათუმის წარმომადგენელი	კომისიის წევრი
6	სოფიო	თავაძე	ასოცირებული პროფესორი, სამეცნიერო პროექტების მართვის კოორდინატორი, ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტი	კომისიის წევრი
7	მაია	ტუღუში	ასოცირებული პროფესორი, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია; ასისტენტ პროფესორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	კომისიის წევრი
8	ნათელა	წიკლაშვილი	სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე	კომისიის წევრი

9	ნინო	ნაკაშიძე	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს განათლების დეპარტამენტის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი	კომისიის მდივანი